

რუსული პოეზია და იმპერიული ავადღებულობა*

იმპერიის ლიტერატურა

კითხვაზე, გაუაზრებიათ თუ არა ოდესმე რუს მწერლებს იმპერიის პრობლემა, მკითხველი, რომელიც კარგად იცნობს რუსულ ტრადიციას, უჭოჭმანოდ მიგვიითიებს «კავკასიის თემისაკენ» რუსულ ლიტერატურაში. მოყოლებული პუშკინის ბაირონული პოემიდან «კავკასიის ტყვე» («Кавказский пленник», 1822) ლერმონტოვისა და ტოლსტოის პოეზიისა და პროზის ჩათვლით, XIX საუკუნის რუსეთის საქმიანობა კავკასიასა და ამიერკავკასიაში მორიგი რიგითი თემიდან ლიტერატურულ ტრადიციად ჩამოყალიბდა, რომელმაც თავის ზენიტს, ალბათ, მაინც რუსულ რომანტიზმში მიაღწია, ხოლო გარკვეულწილად ნაგვიანვე კულმინაციას - ტოლსტოის რეალისტურ ნოველაში «ჰაჯი მურატი» (1896-1904).

ისტორიული ტრექტორიის მოხაზვისას, რომლის სათავეთა მონიშვნასაც შეეცდება მოცემული სტატია, რუსული იმპერიის ისტორიის ამ გაჭიანურებულმა და დღემდე დაუმთავრებელმა სიუჟეტმა გამორჩეული პრესტიჟი მოიპოვა. უკვე ციტირებული ქარიზმული სახელები ადასტურებენ კავკასიური თემის მნიშვნელობას კლასიკური რუსული ტრადიციის გამყარებასა და ჩამოყალიბებაში: სადაც ლიტერატურა და ტერიტორია ერთად ვითარდება, იქ რუსული იმპერიული ექსპანსიის ესთეტიკური და ისტორიული განზომილებების შეთანადებაც შესაძლებელი ხდება.

ამ შეთანადების მაგალითების დაძებნა, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია რუსეთის ისტორიაში: პუშკინის, ლერმონტოვის და დეკაბრისტების პარადიგმულ შემთხვევებში რუსული რომანტიზმის კულტურამ შეძლო იმპერიული თავგადასავლისა და პოეტური ინოვაციის შეერთება პოეტის ბიოგრაფიის სახით. გაძევება იყო ის მოქმედი მოდელი, რომელიც პოეტის ცხოვრებას იმპერიულ სამფლობელოსთან აკავშირებდა. იქნებოდა ეს მეფის გადაწყვეტილების შედეგი, თუ პოეტის სურვილისა - გაქცეოდა მონარქის ფხიზელ მზერას,

გაძევების გამოცდილება (პირდაპირი თუ მეტაფორული აზრით) რუსული რომანტიზმის ორი თაობისათვის (პუშკინიდან მოყოლებული გრიბოედოვის, ბესტუჟევი-მარლინსკისა და ლერმონტოვის ჩათვლით) იყო ის საზომი, რომელიც განსაზღვრავდა პოეტის ევოლუციურ დამოკიდებულებას ერისა და იმპერიის ორმხრივად გადახლართული სივრცეებისადმი.

პუშკინის «კავკასიის ტყვის» ფინალი გაძევების პარადიგმის მაცდუნებლად მარტივ გადაწყვეტას გეთავაზობს: მთავარი გმირი თავს აღწევს ჩერქეზების ტყვეობას და რუსეთში ბრუნდება. ანალოგიური სცენარის მიყენება კრიტიკოსების მხრიდან შეიძლებოდა თავად მწერლისა და მისი ქმნილებისადმი: პოეტის სამშობლოში დაბრუნება ტრადიციულად კიდევ ერთხელ ხდება მისი სიკვდილის შემდეგ ეროვნულ მემკვიდრეობაში შესვლით. ასეთ შემთხვევაში, კოლონიურ ტერიტორიასთან დაკავშირებული სირთულეები დაიყვანება სამშობლოსაგან დისტანციაზე, რომელიც ისეთივე შორი და სახიფათოა, როგორც სამშობლოსაკენ მიმავალი გზა და რომელიც წარმატებულად მთავრდება: «В Россию дальний путь ведет», აღნიშნავს კავკასიის ტყვე უფრო ნოსტალგიით, ვიდრე იმედიანად¹. XIX საუკუნეში პოეტისა და მეფის საზოგადოდ ანტაგონისტური ურთიერთობის მიუხედავად (და ხშირად სწორედ ამის გამო), უნებლიედ იბადება მოსაზრება, რომ გაძევების პარადიგმა რუსულ ლიტერატურაში ხშირად იმპერიული ექსპანსიის დრამად გაუცხოებული ლიტერატურული კორელატია. ამიტომაც ორივე მათგანის ნაჩქარევი წაკითხვა სახიფათოა, რადგანაც ამან შესაძლებელია გაამაგროს ნაციონალიზმის კონცეპტი სწორედ მაშინ, როცა ის ყველაზე უფრო პრობლემატურია.

საინტერესოა, რომ პუშკინის «კავკასიის ტყვე» თვითონვე უზრუნველყოფს იმ სივრცულ დინამიკის ბევრად უფრო ალგორითულ წაკითხვას, რომელიც გაძევების პარადიგმის უკან იმალება:

* H. Ram, «Russian poetry and Imperial Sublim» // Russian Subjects: Empire, Nation and the Golden Age, ed. M. Greenleaf and S. Moeler-Sally (Evanston: Northwestern University Press, 1998), 21-50. წინამდებარე გამოცემისათვის ითარგმნა ავტორისა და გამომცემელთა თავაზიანი ნებართვით, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვასხენებთ (რედ.).

Отступник света, друг природы,
Покинул он родной предел
И в край чужой полетел
С веселым призраком свободы.²

ამ სტრიქონებში რუსეთი და მისი იმპერიული პერიფერია გამოიყოფა, როგორც ორი ზღვრული მხარე (предел, край), რომლებიც ამის შემდეგ ბუნება-კულტურის დიქოტომიას უტოლდება. ეს დიქოტომია ემსახურება კავკასიის აღწერითი დეტალების აღგორიზაციას, რომელსაც იძლევა პუშკინი, როგორც ბუნების ფონს (природа) რუსული კულტურისათვის (свет).

აქედან გამომდინარე ფიზიკური და ეთნოგრაფიული დეტალების სიჭარბე აუცილებლად მოითხოვს ასხნა-კომენტირებას: «კავკასიის ტყვის» თორმეტი შენიშვნით პუშკინი გამჭვირვალესა და გასაგებს ხდის «ბუნებას» «კულტურისადმი», რაც იმით გამოიხატება, რომ იგი თარგმნის უცხო ტერმინებს რუსულად, აზუსტებს ტოპონიმებს და აღიარებს დერჟავინს და შუკოვსკის, როგორც თავის წინამორბედებს რუსული ლიტერატურის კავკასიურ ტრადიციაში.

პუშკინის შენიშვნები, ჩემი აზრით, აყალიბებს აღტერნატიულ მიდგომას კავკასიური სირთულეებისა და რუსული იმპერიული ლიტერატურის კავკასიური დრამისადმი. ისინი, რომელთა ხასიათი უფრო ინტერტექსტუალური და გენეალოგიურია, ვიდრე ბიოგრაფიული, უფრო ციტატურია, ვიდრე უბრალოდ აღწერითი ან თემატური, გვიჩვენებენ ადრეული რომანტიკული და პრერომანტიკული პოეტების ფუძემდებლურ როლს კავკასიის როგორც ლიტერატურული ტოპოსის ჩამოყალიბებაში.

მოცემული სტატია ესაა პასუხი პუშკინის ამ შენიშვნების გამოწვევაზე: ჩემი მიზანია, უფრო დაწვრილებით გამოვიკვლიო და განვაგრძო პუშკინის გენეალოგიური კავშირი XVIII ს-ის წინამორბედებთან კავკასიურ ტრადიციასთან მიმართებაში და წინ წამოვიწიო ის აღგორით დატვირთული დეტალები, რომლითაც აღბეჭდილია რუსული ლიტერატურული ორიენტალიზმის დიდი ნაწილი. როდესაც პუშკინს მოყავს ციტატა დერჟავინის ოდადან («გრაფ ზუბოვის სპარსეთიდან კავკასიონის გავლით დაბრუნებაზე»), იგი თვითონ მონიშნავს ტრადიციის იმ რიტორიკულ თავისებურებებს, რომელიც ჩემი კვლევის ობიექტი იქნება:

О юный вождь! - сверша походы,
Прошел ты воинством Кавказ,
Зрел ужасы, красы природы....
(3:118 კურსივი ჩემია - ჰ.რ.)

ამ სტრიქონებით (რომელთაც მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდები), იმპერიული აგრესია გრაფიკულად ხდება ხილული კავკასიის ბუნების აღგორიზების გზით, რის გამოც საშინელება და მშვენიერება შედარებადი და, საბოლოოდ, ექვივალენტური ხდება. აღსანიშნავია, რომ შუკოვსკის სტრიქონებში, რომელიც პუშკინს

ციტატის სახით მოყავს, ზუსტად იგივე ტოპოსია მოხმობილი: «Ужасной и величавой / Там все блистает красотой.» (3:118, კურსივი ჩემია - ჰ.რ.). ეს აღგორია, რომელიც საშინელებასა და მშვენიერებას ერთმანეთთან აკავშირებს და აერთიანებს, როგორც «დიდებულებას, სიდიადეს», სხვა არაფერია, თუ არა გავრცელებული და საოცრად მყარი პოეტური მოდუსის ერთი გამოხატულება. იგი პირველად XVIII ს-ის გამარჯვებათა აღსანიშნავად დაწერილ ოდეში გვხვდება ისეთ პოეტებთან, როგორებიც ლომონოსოვი და დერჟავინი არიან. ეს მოდუსი ცოცხლდება ხოლმე (თითქმის ყოველთვის როგორც ანაქრონიზმი) რუსული პოეზიის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

ამ მოდუსს, რომელსაც რუსული პოეზია თავისი არსებობის ახალ სტადიაში მთელი პირველი ასწლეულის განმავლობაში ამუშავებს, მე იმპერიულ ამაღლებულს ვუწოდებ. იმპერიული ამაღლებული, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული XVIII ს-ის რუსული კლასიციზმის პოეტიკასთან, რუსულ პოეზიას, როგორც ეროვნულ მემკვიდრეობას, მხოლოდ იმპერიული სამხედრო წარმატებების სივრცეში მისი პროეცირების წყალობით დააფუძნებს. რუსეთის რთული და მრავალმხრივი ურთიერთობა თავის ახლად დაპყრობილ სამხრეთულ კოლონიებთან მოგვცემს შანსს და, ამავე დროს, გამომხატველობით მოდუსს (idiom), რომლის მეშვეობით შესაძლებელი გახდება პოეტური თუ ისტორიული რეზულტატების მთელი რიგის გააზრება. ლირიკული სუბიექტურობის ჩამოყალიბებიდან რუსულ თვითმპყრობელობამდე, ლექსიკური თუ ჟანრული არჩევანიდან იმპერიის გეოპოლიტიკამდე, ამაღლებული არაერთხელ იქნება რიტორიკული საფეხური, რომელიც ლიტერატურულ ფორმას პოლიტიკურ შინაარსთან დააკავშირებს.

იმპერიული ამაღლებული, რომელიც XVIII ს-ში გაჩნდა, მნიშვნელოვნად უსწრებს წინ კავკასიის მეთოდურ დაპყრობასა და, აქედან გამომდინარე, პუშკინისა და მისი თანამედროვეების სახელგანთქმულ კავკასიურ თავგადასავლებს. ამაღლებული ქმნის პრეცედენტს და ისინიც იძულებულნი არიან უპასუხონ ამ გამოწვევას.

გარკვეულწილად გაზიარებული ამგვარი პიპოტუზა ლიტერატურულ-ისტორიული ვარაუდების ერთი ნაწილის ერთგვარ კორექტივს წარმოადგენს: ის გვაიძულებს გავიხედოთ რუსული რომანტიზმის მიღმა, XVIII საუკუნისაკენ, გავიხედოთ კავკასიური გეოგრაფიის (და ბიოგრაფიის) ლოკუსს იქით და გამოვიკვლიოთ რუსული იმპერიული კულტურა, როგორც ესთეტიკური ფენომენი (ორივე, როგორც ქრონოლოგიური, ისე გეოგრაფიული ვარაუდი შემაჯამებელი სახით კიდევ ერთხელაა განცხადებული სიუზან ლეიტონის პიონერული მონოგრაფიის ქვესათაურში: «რუსული ლიტერატურა და იმპერია: კავკასიის დაპყრობა პუშკინიდან ტოლსტოიმდე»³).

თუ პუშკინის დროიდან XVIII საუკუნეში გადავიხედვით, აღმოვაჩინებთ გამომხატველობით მოდუსს (idiom), რომელიც უკვე იმდენადაა

განვითარებული, რომ პუშკინის დროს არქაიზმად აღიქმება. ამ მოდუსის გამოთქმებს (terms), მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თაობა მათ სახეს

უცლის, შეუძლიათ ესთეტიკური ფორმა მიანიჭონ რუსული იმპერიული ნაციონალურობის (nationhood) ძიებებს თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში.

ამაღლებულის გეოგრაფია

ამაღლებულის დისკურსი, რაღა თქმა უნდა, წინ უსწრებს XVIII საუკუნესაც და გვაბრუნებს ფსევდო-ლონგინეს გვიანი ანტიკურობის პერიოდის ტრაქტატთან, სახელწოდებით «ამაღლებული-სათვის» ამ ტრაქტატის გავრცელება თანამედროვე პერიოდში ბევრად განსაზღვრა ბუალოს 1674 წელს შესრულებული თარგმანის უდიდესმა ზემოქმედებამ. ფსევდო-ლონგინე ამაღლებულს განმარტავს, როგორც ზეაწეულობის სახეობას, სტილის დიდებულებასა და აღმატებულობას, რომელიც მკითხველს აიძულებს გასცდეს ესთეტიკური შეფასების საზღვრებს. ეს კი მკითხველში განცვიფრების გრძობას იწვევს და სიდიადის წვდომას განაპირობებს. ბერძნულად ამაღლებული ესაა hypsos-ი, სიმალღე თავისთავად, რომლის პროპორციები მხოლოდ იმ ემოციური მგზნებარებით იზომება, რომელსაც ის აღძრავს. ფსევდო-ლონგინეს ხიბლი, როგორც XVIII საუკუნეში, ისე შემდეგაც, ეტყობა ისაა, რომ მან წინასწარ განჭვრიტა ის ძერა, რაც თანამედროვე ესთეტიკაში მოხდა. მისი ტრაქტატი, არსებითად, ესთეტიკის ფსიქოლოგიზებას ემსახურება და ენისა თუ სტილის საკითხები სუბიექტის პრობლემაში გადააქვს, რომლის ფსიქიკური რეაქციები წმინდა ნორმატიული ტერმინებით უკვე აღარ ფასდება.

ამაღლებული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არა იმდენად ხელოვნების ტაქსონომიას, რამდენადაც აფექტური რეაქციების ჯგუფს, რომელთა მეშვეობითაც სუბიექტი ახდენს აღფრთოვანებისა თუ აღტაცების პათოსის რეგისტრირებას. ესაა გამოცდილება, რომელიც ერთდროულად ძალმოსილების მიმნიჭებელიცაა და რადიკალურად უარყოფითიც. ამაღლებულს, «თავისი გამაოგნებელი ძალით, შესწევს ღონე და უნარი ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკაოს ყველა მსმენელზე აღემატებული პოზიცია»⁴ ფაქტობრივად, ამაღლებული აღძრავს აღტაცება-დაპყრობის მობილურ სტრუქტურას, რომლის ზემოქმედების ძალა მინიმუმ ერთხელ ან ხშირად ორჯერ წაინაცვლებს ხოლმე. თავიდან ორატორს უნებლიედ თავადვე გაიტაცებს საკუთარი სიტყვა, ხოლო ამის შემდეგ, მსმენელსაც, თუ ის ერთია, თავის მხრივ, იმდენად აოგნებს მოსმენილი, რომ ამ ძალის მიერ ზეაწეული თავის თავს ორატორთან აიგივებს.

როგორ ვითარდება ამაღლებულის გეოგრაფია? შეგვიძლია სპეციფიკურ რუსულ ამაღლებულზე საუბარი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია დასავლურ-ევროპული დისკუსიების (განვითარების პროცესში) მოკლე შეპირისპირება

ამ დებატების რუსულ ექვივალენტებთან⁵. დასავლეთ ევროპაში ამაღლებული უპირატესად ვითარდება მშვენიერთან, როგორც ესთეტიკურ ნორმასთან, პოლემიკური დაპირისპირებით. თუ მშვენიერი მოცემულია როგორც მჭვრეტელობითი სიამოვნების ობიექტი, ამაღლებული ესაა მოყენებული და გაშუალებული ტანჯვის გამოცდილება, ესთეტიკურად მოგერიებული დარტყმა. სწორედ ეს უნდა იყოს ედმუნდ ბერკის ნაშრომის («ამაღლებულისა და მშვენიერის შესახებ ჩვენი იდეების ფილოსოფიური გამოკვლევა») მთავარი თეზისი. ბერკი ჩამოთვლის ამაღლებულის შესაძლო წყაროებს, უსასრულობის, ან უსაზღვრობისა და დიდებულების პოზიტიურ სიჭარბეს და სიძნელეებისა თუ სიბნელის ნეგატიურ ნაკლებობას. საბოლოოდ ის დაასკვნის: «სადაც არ უნდა წავაწყდეთ ძალას, როგორც არ უნდა შევხედოთ მას, ჩვენ ვნახავთ, რომ ამაღლებული ყოველთვის შიშის მეწყვილეა»⁶ ბერკის გასაოცარი მემკვიდრეობის მნიშვნელობა ამაღლებულის შიშზე რედუცირებაში მდგომარეობს. შიში ესაა აფექტური პასუხი ძალაზე. სადაც ძალა (უფლება) ხელში აქვთ, იქ მას გვიხატავენ არა როგორც თავსმოხვეულს, არამედ, როგორც საყოველთაოდ აღიარებულსა და სამართლიანს. ამაღლებული ძალაუფლების გამოვლენის მაგალითია, რამდენადაც ის არსებობს იმ შიშში, რომელსაც თვითონვე იწვევს.

ჰეგელი გადაჭრით აფუძნებს ამაღლებულს, როგორც კულტურულ მარკერს: მის «ესთეტიკაში» (ლექციების კურსი, რომელსაც ის 1820 წლის განმავლობაში კითხულობდა) ამაღლებული აღმოსავლური ხელოვნების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ხელოვნებისა და ისტორიის განვითარების ჰეგელისეულ სისტემაში ამაღლებული გააზრებულია როგორც აზიური ცივილიზაციის ნაკლულოვნების ესთეტიკური კორელატი. ამაღლებულის რუბრიკით ჰეგელი აერთიანებს ისეთი აღმოსავლური რელიგიების მისტიკურ გამოცდილებას, როგორიცაა ინდუიზმი, ისლამი და იუდაიზმი. ეს ტრადიციები (ჰეგელი განსაკუთრებით გამოყოფს იუდაიზმს) ერთმანეთს იმით გაავს, რომ, თავიანთი მცდარი და ნაკლულოვანი თეოლოგიიდან გამომდინარე, აბსოლუტს განჭვრეტენ როგორც ყველაფრისაგან მოშორებულსა და ყოვლისშემძლე ღმერთს. ასეთი ღმერთი, ისევე როგორც მისი ნების მიწიერი აღმსრულებელი მონარქი, შეუზღუდავია და ნებისმიერი სიტყვიერი ხორცშესხმის მიღმა. ღვთის სიდიადე ჩრდილავს ადამიანურ ბუნებას: სამყაროს

ერთიანობის შეცნობა მხოლოდ პიროვნების გაქრობისა და წაშლის გზით ხდება შესაძლებელი, რაც, თავის მხრივ, სიტყვიერ ხელოვნებაში განიცდება როგორც გამოუთქმელობა. აქედან გამომდინარეობს, რომ ღმერთის შესახებ ნებისმიერ ადამიანურ გამონათქვამში ფორმა და შინაარსი ერთმანეთს სცილდება, რაც ბადებს ამაღლებულს, როგორც მისტიკურ მომენტს. ასეთ შემთხვევაში, «ღვთაებრივი შესაძლებელია გაცნობიერდეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ისევე ქრებიან ცალკეული ინდივიდუუმები, რომლებიც განიხილებიან როგორც არსებულნი ამ ღვთაებრივში»

თუკი ქრისტიანულ მისტიციზმს შეუძლია წარმოიდგინოს «ღმერთის შეერთება ადამიანურ სუბიექტურობასთან», «საკუთრივ აღმოსავლური» რელიგიები, როგორცაა ინდური პანთეიზმი ან ებრაული ბიბლია, გვიხატავს სამყაროს, სადაც «ქმნილება ღმერთთან შედარებით არის განადგურებადი და უღონო რამ, ამიტომაც შემოქმედის სიკეთეში იმავდროულად მისი სამართლიანობაც უნდა ვლინდებოდეს.» ამაღლებული ესაა ღვთაებრივი კანონის, როგორც წმინდა ნეგატიურობის, გამოცდილება: „ადამიანი თავის თავს უძვეოდ აღიქვამს ღმერთის წინაშე» და მასზე აღმატებულ ძალას ემორჩილება, როგორც სულიერ, ისე, საბოლოოდ, მიწიერ სფეროში.⁷

ჰეგელის დიდი წინამორბედი ამ დებატებში იყო კანტი. «მსჯელობის უნარის კრიტიკაში» (1790 წ.) კანტი ამაღლებული გრძნობადი გამოცდილების გამომწვევი ობიექტის მიღმა, თავად გონებაში მოათავსა. გონება, რომელიც მცირე და არათანაბარზომადი გეგმვენება მის წინაშე მდგარი ობიექტის სიდიადისა და ძალის ფონზე, გრძნობს თავის ამ შეუსაბამობას და, უფრო მეტიც, თვითონ «ეს შეუსაბამობა ბადებს ჩვენში იმის შეგრძნებას, რომ ჩვენში ზეგრძნობადი ძალა იმალება» თავად ობიექტის გამოუთქმელობა, კანტის მიერ გაიაზრება როგორც გონების უპირატესობის თვალსაჩინო გამოხატულება, რომელსაც, საბოლოოდ, ძალუძს უსასრულობის იდეის გაგება, მიუხედავად იმისა, ან იქნებ სწორედ იმის გამო, რომ გონებას არ შეუძლია უსასრულობის გრძნობადი ფორმის აღქმა. კანტი დაასკვნის: «ამაღლებული ისეთი რამაა, რომ თვითონ აზროვნების შესაძლებლობა მის შესახებ ადასტურებს გონების აღმატებულობას გრძნობადი აღქმის ნებისმიერ მასშტაბზე.»⁸ კანტისეული ამაღლებული, ამას გარდა, კიდევ ორი რამით მაინც განსხვავდება ჰეგელისეულისგან. პირველი ისაა, რომ მას აკლია გეოგრაფიული ან-და ისტორიული სპეციფიკაცია. მეორეც, კანტი გონების ჰიპოსტასირებას ახდენს, უხმობს რა მის შემეცნებით ქმედითუნარიანობას სწორედ მაშინ, როცა ჰეგელი გადაჭრით ამტკიცებს, რომ გონება ინრდილება ამაღლებული ობიექტის მიერ. როგორაა შესაძლებელი ამ განსხვავებათა გაგება? უნდა გვახსოვდეს, რომ კანტსა და ჰეგელს შორის რომანტიზმის კულტურის მთელი ეპოქაა, თავისი აურზაურითა და მღვდვარებით, რაშიც არცთუ მცირე წვლილი მიუძღვის იმ სამეცნიერო

ენტუზიაზმს, რომელსაც რაიმონ შვობი «აღმოსავლურ რენესანსს» უწოდებდა. ევროპელი მეცნიერების ეგზალტაცია აღმოსავლეთით, როგორც ევროპული კულტურის სულიერი სათავით, ჰეგელისეული კრიტიკის პოლემიკური კონტექსტია. ის, რასაც რომანტიკული ფილოლოგია საწყისს და სათავეს უწოდებდა, ჰეგელს უნდა უკუეგდო, როგორც ნაკლულოვანი დასაწყისი, ხელოვნების ისტორიის ადრეული და წარმატალი ეპიზოდი.

ეს ფართო ინტელექტუალური ისტორია კიდევ ერთხელ შეიძლება გადამოწმდეს ყველაზე უფრო კონკრეტული პრეცედენტით, რომელიც წინ უსწრებს ამაღლებულის ჰეგელისეულ ორიენტალიზაციას მის «ესთეტიკაში». ეს პრეცედენტი თვითონ კანტთან გვხვდება «მსჯელობის უნარის კრიტიკის» ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ თავში, სადაც ის აღნიშნავს:

აღბათ ყველაზე უფრო ამაღლებული იუდეველთა სჯულში ათი მცნებაა: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოველი მსგავსება, რაოდენი ცათა შინა-ზე და რაოდენი ქუეყანასა ზედა-ქუე და რაოდენი წყალთა ქუეშეთ ქუეყანისა და ა.შ. მხოლოდ ამ მცნებების საშუალებით ხდება შესაძლებელი იმ ენთუზიაზმის ახსნა, რომლითაც იუდეველები საკუთარ რელიგიას ეკიდებოდნენ თავიანთ საუკეთესო ხანაში, ადარებდნენ რა თავის თავს სხვა ხალხებს. ამითვე შეიძლება აიხსნას ის სიამაყე, რომელსაც ისლამი აღძრავს მის მიმდევრებში და იგივე შეიძლება ითქვას მორალის თაობაზე ჩვენი წარმოდგენებისა და მორალურობისაკენ ჩვენი მიდრეკილების შესახებ.⁹

ჰეგელისათვის, ისევე როგორც რამდენადმე კანტისთვისაც, ამაღლებულის მაგალითი აღმოსავლური მონოთეიზმია, რადგანაც ეს უკანასკნელი ესთეტიკურსა და ეთიკურს სჯულის ეგიდით ერთმანეთს ახვედრებს. როცა სული არტიკულირებულია, როგორც ღმერთის მცნება, მისი ეს იძულებითი შემოქმედება ხელოვნებაში რეპრეზენტაციის გადალახვით გამოიხატება. ღვთის სიტყვის არამატერიალიზებული იმპერატივი, რომელიც უხილავია, მაგრამ გვემის, ზუსტად ისევე აღძრავს მორჩილების სურვილს, როგორც მისივე უფორმობა - მოწიწების ესთეტიკურ გრძნობას.

ამაღლებულის ოდენ აღმოსავლეთთან დაკავშირებით ჰეგელი იუდეველთა სჯულს კანტის მიერ მორალისადმი წაყენებული საზოგადო მოთხოვნისაგან აცალკევებს. ამ უკანასკნელის ნაცვლად ჰეგელი გვთავაზობს კულტურული ეკვივალენტების სერიას (სწორედ ესაა ჰეგელისეული ინოვაცია), რომელშიც ამაღლებული ესთეტიკურ მომენტს წარმოადგენს. სადაც რელიგია ღმერთის მცნებაა, იქ პოლიტიკა ტირანიია, ხოლო ხელოვნება - ამაღლებული: ეს ანალოგიები აყალიბებს აზიური ხელოვნების სტატიკურ შაბლონებს. ჰეგელის «ესთეტიკა» ნათელყოფს მხატვრული ამაღლებულის, აღმოსავლური დესპოტიზმისა და თეოკრატიების ურთიერთ-კავშირის კონცეპტუალურ ბაზისს. ახლა

ამადლებული და დესპოტიზმი აღმოსავლეთის პოლიტიკური და სულიერი ეკვივალენტები ხდება. ამ კომპლექსური ნაბიჯის სქემატიზებისას, შეიძლება გვეთქვას, რომ ევროპული ამადლებული უპირატესად კანტისა და ჰეგელის ფორმულირებათა საზღვრებში მოძრაობს - ჩაღრმავებულ სუბიექტურ შინაგან სამეაროსა და აღმოსავლელი დესპოტისა და მისი სამეფოს მყარ ფანტომს შორის.

რამდენადაა ასახული ამადლებულის (რუსულად *возвышенное* ან, სხვაგვარად, *высокое*) ეს განვითარება თვით რუსეთში? ჰეგელისეული ამადლებულის მსგავსად, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ ის მხატვრულად ასახავს ძალთა იმ რადიკალურ შეუსაბამობას, რაც ბატონსა და მონას

შორის არსებობს, რუსულ ამადლებულსაც ძალუძს მონიშნოს ანალოგია პოლიტიკურსა და ესთეტიკურს შორის. სპეციფიკურად რუსული არის ის ისტორიულ-ლიტერატურული მომენტი, რომელშიც იმპერიული ამადლებული წარმოჩინდება, რაც ემთხვევა რუსული საერო ლიტერატურის ინსტიტუციურ სათავეებს. ეს მომენტი ლიტერატურული პოლემიკისა და პოლიტიკური დებატების იმ მდიდარ კონტექსტს მოიცავს, რომელიც ევროპაზე უფრო მეტად რუსეთის ჩაბმას იწვევს კომპლექსურ ურთიერთობაში აღმოსავლეთთან, როგორც პოლიტიკურ პარადიგმასა და ძალაუფლების აღდგორიასთან.

გაგრძელება შემდეგ ნომერში
სტატია თარგმნა ზაზა შათირიშვილმა



შენიშვნები:

1. Александр Пушкин, Кавказский пленник, Собрание сочинений в 9 томах, М., «Художественная литература», 3:90; აქედან მოყოლებული, ყველა ციტატა პუშკინის მოცემული გამოცემიდან სტატიის ტექსტში იქნება მითითებული.
2. მიუხედავად იმისა, რომ, ხშირ შემთხვევაში, რუსული ლიტერატურათმცოდნეობა ინფორმირებულია ისტორიული და ფილოლოგიური თვალსაზრისით, რუსული ლიტერატურის კავკასიური თემისადმი მისი მიმართება არ გაცდენია იმ მიდგომას, რომელსაც შეიძლება «ცხოვრება და შემოქმედება» ვუწოდოთ. ეს ნიშნავს, რომ კავკასია პრინციპულად განიხილება გაძევების ცხოვრებისეული გამოცდილების ჭრილში და, ამავე დროს, როგორც პოეტური შთაგონების ადგილი და შესაძლებლობა. ავიღო გაჯიყვის შენიშვნით, მცირე გამონაკლისის გარდა, საბჭოთა კრიტიკოსები კავკასიის თემას «ამა თუ იმ ავტორთან მიმართებაში» იკვლევდნენ, რის გამოც «საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დღემდე შეინიშნება შედარებით ზოგადი ხასიათის თეორიული თუ ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფიების ნაკლებობა.» (Кавказ в русской литературе первой половины XIX века, Баку, Язычы, 1982, გვ.6). გაძევება-დაბრუნების ნარატიული მოდელის გამოყენება აუცილებელი ხდებოდა საკუთრივ ბიოგრაფიულ ნარკვევებში (იხილე ამის ყველაზე უფრო ახლო მაგალითი: Ю.М. Лотман, Александр Сергеевич Пушкин, Биография писателя, Л., «Просвещение», 1983). ეს ტენდენცია საკმაოდ გავრცელებულია დღემდე, რაც კიდევ ერთხელ წარმოჩნდა ნ. ეიდელმანის სხვამხრივ შესანიშნავი წიგნით *Быть может за хребтом Кавказа* (Русская литература и общественная мысль первой половины XIX в. Кавказский контекст, М., «Наука», 1990). ადრეული საბჭოთა კრიტიკა, რომელიც ამ შემთხვევითი და ბიოგრაფიული მიდგომის ტიპური მაგალითია პუშკინთან მიმართებაში, შემდეგ ნაშრომებს მოიცავს: Валерий Брюсов, Пушкин в Крыму // В.Брюсов, Мой Пушкин, М., ГИЗ, 1929; Л.П.Семенов, Пушкин на Кавказе, Пятигорск, Северо-Кавказское краевое государственное издательство, 1937; И.К.Ениколопов, Пушкин на Кавказе, Тбилиси, «Заря востока», 1938; К.Г.Черный, Пушкин и Кавказ, Ставрополь, Крайиздат, 1950; Л.А.Чернейский, Пушкин и северный Кавказ, Ставрополь, Ставропольское книжное издательство, 1986. ვანო შადურის წიგნი - Пушкин и грузинская общественность, Тбилиси, «литература да хеловნება», 1966 - იმ იშვიათ გამონაკლისთაგანია, რომელიც ბიოგრაფიას კულტურის ისტორიასთან აკავშირებს. რა თქმა უნდა, არსებობს რუსული ლიტერატურათმცოდნეობის შედარებით ფართო ნაწილი, რომელიც რუსული ლიტერატურული ორიენტალიზმის, ძირითადად, რომანტიკულ პერიოდს ეძღვნება. საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური შეზღუდვების გამო, ხშირად ყველაზე უფრო ინფორმაციული ვიწროდ ფილოლოგიური მიდგომა იყო, მაგალითად: В.М.Жирмунский, Байрон и Пушкин. Из истории романтической поэмы, Л., «Академия», 1924; В.Л.Комарович, «К вопросу о жанре "Путешествия в Арзрум"», // Временник пушкинской комиссии, 3, 1937; Леонид Гроссман, Лермонтов и культура востока // Литературное наследство, 1941, გვ. 43-45; და ბოლოდროინდელი: Н.Н.Холмухомедова, Восток в русской поэзии 30-ых годов XIX в. // Известия Академии Наук, Серия литературы и языка, 1, 1985, გვ. 57-67. იდეოლოგიურად დახვეწილი წაკითხვები საბჭოთა ტრადიციაში საკმაოდ იშვიათია. ადრეული საბჭოთა

ანტიიმპერიალიზმის საინტერესო შეფასებების უმეტესობა მერყეობს მარქსიზმსა (რომელიც დიდად არ განსხვავდება ოფიციალური საბჭოთა ლიტერატურული ისტორიისაგან) და კულტურათა ურთიერთშემათანხმებელ ჰიპოსტასს შორის, რომელიც რამდენადაც მდიდარია ფილოლოგიური თვალსაზრისით, იმდენადვე მთლიანადაა დაშორებული რეალური ისტორიის ძვრებს. ამის მოგვიანო ტენდენცია, იხ., მაგალითად: В.Н.Топоров, *Пространство культуры и встречи в нем, Восток-Запад. Исследования, Переводы, Публикации*, 4, М., «Наука», 1989, გვ. 6-17. საბჭოთა ტრადიციის ყველაზე უფრო დახვეწილი კრიტიკული მცდელობები წარმატებულად ათანხმებდნენ ფორმალურ წაკითხვასა და ისტორიულ განზოგადებას, მაგალითისათვის: Ю.Н.Тынянов, *О «Пушествии в Арзрум»* (1936), // Ю.Н.Тынянов, *Пушкин и его современники*, М., «Наука», 1969, გვ.192-208; ბ. ტომაშევსკის გამოკვლევა პუშკინის შემოქმედებითი ევოლუციის შესახებ Б.Томашевский, *Пушкин*, в 2-х кн., М.-Л., АН СССР, 1956, 1961; Г.А. Гуковский, *Пушкин и русские романтики* (1946), М., «Художественная литература», 1965; და, ნაწილობრივ, Р.Ф.Юсуфов, *Русский романтизм начала XIX века и национальные культуры*, М., «Наука», 1970.

3. Susan Layton, *Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoi* (Cambridge: Cambridge University Press, 1994). თავის უფრო ადრეულ სტატიაში, «წარმოსახვითი კავკასიური გეოგრაფიის შექმნა», რომელიც მცირე ცვლილებებით, როგორც ცალკე თავი, წარმოდგენილია აღნიშნულ მონოგრაფიაში, ლეიტონი ამ ქრონოლოგიის მნიშვნელოვან ნიუანსირებას ახდენს: «რასაც ბელინსკიმ პუშკინის მიერ კავკასიის აღმოჩენა უწოდა, მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა მწერლის მიერ მშობლიურ ტრადიციაში მთის პოეზიის აღმოჩენას, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იყო ევროპულ პოეზიაში უკვე კარგა ხნის განმავლობაში არსებული აღპური მოტივისაგან. . . ამდღებულის რიტორიკა და წარმოსახვის ფორმები, რომლებიც პუშკინის პოეზიას დერჟავინის, შუკოვსკისა და ბაირონის პოეზიასთან აკავშირებს, ქმნის «კავკასიის ტყვის» განსაკუთრებულად ლიტერატურულ ლანდშაფტს.» (*Slavic Review* 3 [1986]: 472-473, 477). ამგვარად, ლეიტონის სტატია გადაჭრით აკავშირებს ჩამოთვლილი პოეტების კავკასიურ ტოპოგრაფიას მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ ამდღებულთან, რომელიც აღპებით იყო განსაზღვრული. წინამდებარე სტატია შეეცდება განავრცოს და გააღრმავოს ეს მიგნება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ვერ პოულობს განვითარებას თავად ლეიტონის წიგნში. ლეიტონი დერჟავინსა და შუკოვსკის უპირატესად უხმობს, როგორც პუშკინის წინამორბედებს, ვინც ტრადიციის დაფუძნებისა და განვითარების მონაწილეებს; მისი მოსაზრება, რომ დერჟავინი წარმოადგენს «კონტრასტს» ლომონოსოვისეულ ამდღებულთან მიმართებაში, იმის მანვენებელია, თუ რამდენად ამოვარდნილია მისი თვალთახედვის არედან ამ ტრადიციის უწყვეტობა თავისი ესთეტიკური და პოლიტიკური განზომილებებით. ლეიტონის წიგნი, რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვება ედუარდ საიდის «ორიენტალიზმს» (*Edward Said, Orientalism* [New York: Vintage, 1978]), რუსული ლიტერატურის იმპერიულ პროექტთან დაკავშირების მაინც ყველაზე უფრო სისტემური ცდაა დასავლურ კრიტიკაში. ბევრად უფრო გაცნობიერებული მიდგომა რომანტიზმის მეფორამეტე საუკუნესთან, როგორც დაკავშირების, ისე დაპირისპირების თვალსაზრისით, წარმოდგენილია პოლ მ. ოსტინის ნაშრომში «*The Exotic Prisoner in Russian Romanticism*,» *Russian Literature* 16 (1984): 217-274, რომელიც ამ თემის დაწვრილებით გენეალოგიას იძლევა. მოცემულ თემაზე პოსტსედიანური ან მეთოდოლოგიურად ინოვაციური დასავლური კრიტიციზმის სხვა მაგალითებია: Stefhany Sandler, *Distant Pleasures: Alexander Pushkin and the Writing of Exile* (Stanford: Stanford University Press, 1989), განსაკუთრებით IV თავი, Peter Scotto, «*Prisoners of the Caucasus: Ideologies of Imperialism in Lermontov's "Bela,"*» *PMLA* 2 (1992): 246-60; Robert Reid, «*Ethnotopy in Lermontov's Caucasian Poemy*,» *Russian Literature* 4 (1992): 555-73; Monika Greenleaf, *Pushkin and Romantic Fation: Fragment, Elegy, Orient, Irony* (Stanford: Stanford University Press, 1994); და სამი სტატია *Russian Review* 3 -ში (1994) Al. fred J.Rieber-ის ასეთი შესავლით: «*Russian Imperialism: Popular, Emblematic, Ambiguous*,» ამთგან, ჩვენი მიზნებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატია ჰოკანსონის სტატია «*Literary Imperialism, Narodnost' and Pushkin's Invention of the Caucasus*» (336-52). ჰოკანსონის ნაშრომი, ცალკეული ინტუიციების მიუხედავად, უკუაგდებს ადრეული ტრადიციის პუშკინისეულ აღიარებას «კავკასიის ტყვის» შენიშვნებში, როგორც «*დამაჯერებლობის გამოგონილ კონტექსტს*,» რითიც გამორიცხავს იმ თემას, რასაც ჩვენი სტატია უნდა შეეხოს.
4. Longinus, *On the Sublime*, trans. James A. Arieti and John M. Crosset (New York: Edwin Mellen, 1985), 1.3.
5. თანამედროვე პერიოდში ამდღებულის წამყვანი თეორეტიკოსები დასავლეთ ევროპელები არიან. ანგლო-ამერიკული კულტურა, რომელიც ამ პრობლემის ფართო გააზრებას იძლევა, ბერკისა და ინგლისური რომანტიზმის კვალს მისდევს, მაშინ, როცა ჟან-ფრანსუა ლიოტარის ბოლო შენიშვნით ამდღებულის კანტისეული ესთეტიკა თანამედროვე ავანგარდის ჩანასახია; იხილე მისი: «*Le sublime et l'avant-garde*» // *L'inhumain: Causeries sur le temps* (Paris: Editins Galilee, 1988), 110. ბოლო პერიოდის ანგლო-ამერიკული კრიტიკა შემდეგ ნაშრომებს შეიცავს: Samuel H. Monk, *The Sublime: A Study of Critical Theories in XVIII-century England* (1935; Ann Arbor: University of Michigan Press, 1960); M.H. Abrams, *The Mirror and the Lamp: Romantic Theory and Critical Tradition* (New York: Oxford University Press, 1953), 72ff.; Thomas Weiskel, *The Romantic Sublime: Studies in the Structure and Psychology of Transcendence* (Baltimore: The Johns Hopkins University Press, 1976); Paul Fry, *The reach of Criticism: Method and Perception in Literary*

- Theory (New Haven: Yale University Press, 1983), 47-83; Neil Hertz, «A Reading of Longinus» // *The End of the Line: Essays on Psychoanalysis and Sublime* (New York: Columbia University Press, 1985), 1-21; Susan Guerlac, «Longinus and the Subject of the Sublime.» *New Literary History* 16 (1985): 175-89; Harold Bloom, *Ruin the Sacred Truths. Poetry and Belief from the Bible to the Present* (Cambridge: Harvard University Press, 1989), 117-41; Frances Ferguson, *Solitude and the Sublime: Romanticism and the Aesthetics of Individuation* (New York: Routledge, 1992) და Paul Fry, *A Defense of Poetry: Reflections on the Occasion of Writing* (Stanford: Stanford University Press, 1995), 133-56.
6. Edmund Burke, *A Philosophical Enquiry into the Origin of our Ideas of the Sublime and the Beautiful*, ed. James T. Boulton (1757; London: Routledge and Kegan Paul, 1958), მე-3 ნაწილი, მე-5 ნაკვეთი.
7. G.W.F.Hegel, *Aesthetics: Lectures on Fine Art*, trans. T.M.Knox (Oxford: Clarendon Press, 1975), 1:365, 371, 372, 376; აღმოსავლური დესპოტიზმის, როგორც რელიგიური ამაღლებულის საერო პოლიტიკური ეკვივალენტის გაგებისათვის, აუცილებელი იქნებოდა მოცემული პასაჟებისა და «ისტორიის ფილოსოფიაში» აღმოსავლეთის ჰეგელისეული გააზრების (trans. J.Siberey, [1899; New York: Dover Publications, 1956], 116-222) პარალელური წაკითხვა. იხილეთ, აგრეთვე: Peter Szondi, «Hegels Lehre von der Dichtung.» *Poetik und Geschichtsphilosophie* (Frankfurt: Suhrkamp, 1974). ამაღლებულისა და მხატვრულობის იმპერიული ესთეტიკის ისტორიის შესახებ იხ.: Partha Mitter, *Much Maligned Monsters: A History of European Reactions to Indian Art*, 2d ed. (Chicago: University of Chicago Press, 1992), 120-40; Sara Suleri, *The Rhetoric of English India* (Chicago: University of Chicago Press, 1992), განსაკუთრებით, 65-66. უფრო ზოგადად ამის შესახებ, იხ.: Raymond Schwab, *The Oriental Renaissance: Europe's Rediscovery of India and the East, 1680-1880*, trans. Gene Patterson Black and Victor Reinking (New York: Columbia University Press, 1984), და Simon Schama, *Landscape and Memory* (New York: Vintage, 1996), განსაკუთრებით თავი «Vertical Empires, cerebral Chasms.» (447-78), რომელიც ამყარებს კავშირს XVIII საუკუნის აღპური გადასვლების უწყებებსა და «ბრიტანეთის ატლანტური იმპერიის ბედს» შორის (461). რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობასთან ანალოგია სულ მალე გახდება თვალნათელი.
8. Immanuel Kant, *Critique of Judgement*, trans. Werner S. Pluhar (Indianapolis: Hackett, 1987), ნაკვეთი 25 (106).
9. Kant, ნაკვეთი 29 (135). კანტისა და ჰეგელს შორის საინტერესო ეპიზოდია შილერის «ამაღლებულის შესახებ» («Über das Erhabene.» // *Schillers Samtliche Werke* [Leipzig: Insel, 1924], 5: 354-70), რომელიც ააშკარავებს ამაღლებულის მორალურ იმპერატივს (ეს შილერს, კანტის მსგავსად, ძველი აღთქმიდან გამოყავს) ისტორიის გამოცდილებასთან მიმართებაში, რითიც ჰეგელისათვის ამზადებს გზას.

